

F2-529



პირადი გვარება

~~ЗЛАТЫЙ
ШКАФЪ
ПОЛКА № 7. № 77~~

~~СУБОТЫ~~

~~„შესაყიდვისა“~~

თბილისი
სტამბული ქ.
1895.

32/630

12-24

21g.

ИГРУЗ
0-12

ისეულდება საქართველოს კუ-
ლა წიგნის მაღაზიებში

თეატრ წრთმ მაჟირი

~~1469~~
~~95~~


ՑՈՐԵՑՈ ՀՅԱՂԱՅԻ

НГРУЗ
012

„ბატონიშვილი ლევანი“.


n 3001.

F 2.529



ତଥିଲୋଚି, କାନ୍ଦାମହା ଜ. ଓ. କେଳୁଦିଲୁ.

1895.



„შატოზნიგვილი ლევანი.“

ბატონიშვილი ლევანი
ბაღში ჰაფიქოებული;
მის ზევით ყურძნის მტევანი
არხევა დამწიფებული;
იქიც გამსქდარსა ბროწეულს
ჰსურს სიმწიფისა ჩვენება
და ცას გაჰყურებს მოწეულს

Дозволено Цензурою 30 Де-
кабря 1894 года.

—4—

შემოდგომისა შვენება.
 უმშვერებს სახეს გმირულსა
 თეთრი წვერი და ულვაში
 ძმობაში თავ-განწირულსა,
 ულმობელს შურის-გებაში.

—

ამ ღროს გამოჩნდნენ ცხენები
 მსუბუქად განაჭენები.

ცხენზე იმისი ცოლია,
 ქეთო, წელისა მრხეველი,
 ვარსკლავებისა ტოლია

— ۵ —

მათს გუნდში გასარეველი;
 მასთან ჰსეირნობს მამია,
 ჭაბუკი კეთილ-შობილი,
 ძმისა მოყვარე ძამია,
 აგრე ძმებისგან ხმობილი.
 ქეთო ტურთა და წარნარი
 ლიმილით უმზერს არესა,
 მამია ეშხით დამწვარი
 ეცემა სიმღელვარესა;
 ხმა მისი გულ-ამომჯდარი
 გულში მფრქვევია ალისა
 ხმაა — ოჳ ეჭვი არ არი —

— 6 —

დადაგულ მოტრფიალისა.
 სული განაბა, გაშეშდა
 ლევან, მორჭული ძლევითა,
 მიწას არაპეტრინობს ფეხ-ქვეშ და
 ცისა კამარას ზევითა.

მამია ჭლელავს: „მზადა ვარ
 მივყვე ამ შენსა ნებასა;
 შენ კარგად იცი, სადა ვარ,
 ნუ უცდი გათენებასა;
 მოდი—ფულს როგორ დაგიჭერ
 ხუთასი ოქროს წონასა,

— 7 —

ოლონდ გაგიხსნა კი ერთ-ჯერ
 ღილი ვარდისა კონასა...“
 აგრე ჰაერში მიჰკრთიან
 ხმები ტკბილ-მოსასმენები,
 მიირხევიან, მიდიან,
 მიჰთამაშობენ ცხენები.

„ხუთასი ოქროს“... ნიავმა
 ეს-ლა გადასცა ლევანსა;
 ჩირგვი შეირყა, ქლიავმა
 ტოტი ჰკრა ყურძნის მტევანსა,
 და დანარჩენი, რაიცა

—8—

იქა წარმოსთქვა ენამა,
 ბალიდან ბალში გაიცა,
 შთანთქა ბუნების ქშენამა.
 მაინც დაეწო იქ გული
 ლევანს ეჭვისა შხამითა
 და კარგად აშფოთებული
 შინ წამოვიდა ლამითა.

სახლში ანათებს ლამპარი,
 ფანჯრებში გამომჭვირვალი;
 სახლის წინ კაცი არ არი—
 მხოლოდ მონა ჰზის მტირალი.

— 9 —

ლევანი ჰკითხავს-,,რა მოწედა?“
სევდით ამისა მჭვრეტელი;
მონა კრძალვითა წამოხტა,
ეტყვის ცრემლისა მფრქვეველი:
„სიზმარი ვნახე, ვუმზერდი
ტურთას რამ საბალნაროსა,
ცისა ნარნარი გულ-მკერდი
გულში ეხატა წყაროსა;
ბულიბული სტვენით შეტრფოდა
ვარდის შტოვების ღუნვას
სხივი ქვეყანას დაჰკროთოდა,
გულს უქარვებდა ჭმუნვასა.

— 10 —

ამ დროს რაღამაც ჩირგვი და
 ფოთლები ააშრიალა;
 ბაღში ვიღაცა შევიდა—
 ქალი შევნიშნე ციალა.
 მიამა, ქალი რომ ვნახე,
 გულზე სევდისა დამჩენი,
 თუმც დამავიწყდა მის სახე,
 ისე გამიწყრა გამჩენი;
 ტურფა, ნაზი და ნარნარი,
 ვით მის სამშობლის კამარა,
 ვნახე—ეხვია ზეწარი,
 იყო პერანგის—ამარა.

—11—

მამია იქვე დაუხვდა:

„მოღი, შენ გენაცვალეო!..“

მევანი შეჰქრთა, შეწუხდა—

„მესმის და გამეცალეო,“

და თვის ოთახში შევიდა

თავის ამაყად მჩენელი.

მონა გულ-საწო რყევითა

მოჰშორდა ცრემლის მფრქვეველი

მზეს არ-დაფარულს ლრუბლითა
 არ მოაკლდება მზეობა,
 ლევანს არ-შეხრილს შუბლითა

— 12 —

სიმხნე და მოცალეობა,
 რომ შეისრულოს წადილი,
 გულს მოაცალოს წვალება,
 ლხენა გაჰქადოს ადვილი
 და ყანწის დატრიალება.
 ნადიმი გამართულია,
 სტუმრებს არა აქვსთ ოევანი,
 ყველა გულ-მხიარულია,
 მხიარულია ლევანი.
 წამოდგა იგი: „ლვინოს ვსვამ,
 სიტყვის მომეცით ნებაო!“
 ყველა გაჩუმდა,—თამაღამ:

—13—

„შენა და გაგონებაო! „

ცოლს მიუბრუნდა მლიმარეს,
 უთხრა: „შეგასხამ ქებასა —
 სადაც შენა ხარ, იმ არეს
 შენა ჰყენ სიტყბოებასა;
 ქმარს არ ივიწყებ ამასთან
 შენსა მორჩილსა მონასა,
 შენ მას ფულებსაც მოუტან
 ხუთასი ოქროს წონასა.
 იგი ნაშოვნი გქონია
 შენ სასახელო ქცევითა,

— 14 —

შენახული გაქვს, მგონია,
 ეხლა ბალიშის ქვევითა..“

ფერი დაედო სამარის,
 მაინც სიტურფე რამ არის
 ქეთო — შვენება ამ არის.
 წამონთებული ბრაზითა
 ქმარს შეანათა თვალები
 და ტანის რხევით ნაზითა
 გავიდა — ჭმუნვის ალები
 სხვამა შეჰნიშნოს არ უნდა,
 არცა გულისა წყლულები;

— 15 —

წუთი გავიდა — ღაბრუნდა,
 ქმარსა გადასცა ფულები.
 ერთიც შეჰედა და იმით,
 წამწამებისა ციმციმით,
 მის გულსა გაუზიარა,
 ვით უწინ, ბრაზი კი არა,
 შიში, კრძალვა და ვედრება
 და მეცობრული ყვედრება.

არა ინძრევა არავინ
 და ლევანიცა წადგა წინ:
 „თავს ძვირად ჰქონდა, გეტყობა,

-- 16 --

რომ მიგაქვს ხუთჯერ ასიო,
 ათი შაური გეყოფა,
 ეს არის შენი ფასიო! „
 და ცოლსა დაუჩიხრიალა
 გროშები— „მას დაჯერდიო! „
 შემდეგ დასცალა ფიალა—
 „მამიავ, ალლაჰ—ვერდიო! „
 და თან ხუთასი ოქროცა,
 ათ-შაურ—გამოკლებული,
 იმას, გადასცა. აკოცა
 და დაჯდა ცეცხლ-მოდებული.

F229
—

—17—

უცებ დაბნელდა ქვეყანა,
 სახლმა დაიწყო ტრიალი,
 მოძრაობაა ყველგანა.
 ოხვრა, კვნესა და ზრიალი;
 სტირის სადღაცა ბავშვი და
 ისმის ჭიქისა მტვრევანი,
 და ყველაფერი დამშვიდდა—
 გონჩე მოვიდა ლევანი.

იმის წინ ტანი-ლერწამი
 ცოლისა გაშხლართულია,

—18—

გიშრის წარბი-და-წამწამი
მელნად თვალს გადასმულია;
უერ-მიხდილს წყლისა გუბეში
უბრწყინავს საძაჯურები
და მიერხევა უბეში
ცვარი გულს მინაპკურები

სწრაფად ადგება ლევანი
და იხევიან ყველანი.

ხელი მოჰქვია მშვენიერს,
ტანსა ტკბილ-მოსახვეველსა

— 19 —

მკერდი მკლავს მოხვდა ლონიერს,
 გული გულს, სევდით მრხეველსა;
 მან, ვით წერილი ტრფობისა,
 გულს მიიწება ერთობ ის,
 ნიშნად აზრის და გრძნობისა
 აწ შეუცვლელი ერთობის;
 და აგრე ოთახს მიჰმართა,
 იქ მოასვენა, დაჰმალა;
 აქ შესდგა გროვა სტუძართა,
 ვით მის მორჩილი ამალა.

მაგრამ სად არის მამია,

—20—

ძმისა მოყვარე ძამია?

—

გავიდა იგი დამწვარი,
ცხენი მოართვეს ბედკრულსა;
მონას უბრძანა: „უთხარი
შენსა ბატონსა ქებულსა,
რომ მისი გარდი, მის ია,
მისი იქნება მარადის,
რომ ჩემი გულიც მისია,
გამოადგება ფარად ის;
რომ მას საფლავშიც ჩავყვები,
თუ სჭირს რამ უბედურება,

—21—

ისე ვერ დავენახვები,
 უთხარ.—ნუ დამემდურება.“

—

სთქვა და ცხენსა ჰკრა—,
 ცხენიცა

წავიდა როგორც ისარი;
 ტურთა, არ-მოსაწყენი ცა
 მას რომ დაპხარის—ის არი.
 მიჰქოდის თავ-დავიწყებული,
 აქ დაპყარგვია ბინა გულს,

—22—

მაგრამ სად წავა პედკრული,
სად გაეჭცევა სინანულს.

გ. გვაზავა.

10 ოქტომბერს 1893წ.

